ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

წარმოგიდგენთ ანგარიშს ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. შევეცდები სრულყოფილად წარმოგიდგინოთ, თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ. ასევე, რა ხედვები გვაქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. ჩემი ანგარიშის შემუშავების პროცედურები ეყრდნობა ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დასახული მიზნების მიღწევის მიზნით მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტში მუნიციპალიტეტის მერის მიერ არსებული რესურსების პასუხიმგებლობითა და ანგარიშვალდებულად გამოყენებასა და ამ საქმიანობის თანმდევი რისკების მართვას.

მმართველობის დეცენტრალიზაცია და სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. სწორედ თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია გვაძლევს იმის საშუალებას, ადგილზე გადაიჭრას მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობით, ამ მიმართულებით კი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულ პერიოდში განახორციელა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, სოციალური და ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები. ყოველივე ამას ხელი შეუწყო მოადგილეებთან ერთად ყოველკვირეულმა შეხვედრებმა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან, მერის წარმომადგენლებთან, საკრებულოს დეპუტატებთან და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების სამუშაოების მწარმოებლებთან, სადაც იხილებოდა მუნიციპალიტეტის ყოფითი პრობლემების, პროექტების მიმდინარეობის, შესრულებული სამუშაოებისა და დაგეგმილი ინიციატივების შესახებ საკითხები. მერია მაქსიმალურად მხარს უჭერდა თითოეული წარმომადგენელის მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოქცეული იყო კანონის ფარგლებში და მისაღები იქნებოდა სოფლის მცხოვრებთათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიმდინარე პროექტების შესრულების ხარისხისა და ვადების უმკაცრეს კონტროლს, რათა მომხდარიყო თანხების ეფექტიანად და შედეგიანად ათვისება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხები იყოფოდა უამრავ ნაწილად და საბოლოო ჯამში, თანხის სიმცირის გამო, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა ქალაქსა თუ სოფელში ესა თუ ის პრობლემა. მომავალში, მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხები აქტუალურობის და მასშტაბების მიხედვით მოხმარდება კონკრეტულ პრიორიტეტულ - პრობლემურ საკითხს, რითაც თანხების ხარჯვა იქნება მიზნობრივი და ამავე დროს, მრავალწლიან შედეგზე ორიენტირებული.

მერიის მიზანია ქალაქის განვითარების პარალელურად ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მიკრო გარემოსა და სერვისების შექმნა.

აქედან გამომდინარე, ასევე უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიმაჩნია ჩვენი საქმიანობის „უფრო ახლოს ხალხთან“ და „კარდაკარ საჭიროებებზე“ პრინციპებით კვლავ გაგრძელება, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის მუშაობის მთავარი პრინციპი იყო.

- **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, პრიორიტეტების სრულად განხორციელების, ინდივიდუალურ საჭიროებათა უზრუნველყოფის საქმეში უმნიშვნელოვანესია ფინანსური და მატერიალური ბაზის გაზრდა და განმტკიცება, რაც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობაზე.

ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 4,238,500 ლარს. წლის განმავლობაში სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხით დაზუსტებული ბიუჯეტი გაიზარდა 10,113,319 ლარით და შეადგინა 14,351,819 ლარი, რაც გასულ, 2018 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილი იქნა 4,730,600 ლარით - 49%-ით.

დაზუსტებული ბიუჯეტიდან 10,889,600 ლარი მიმართული იქნა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

2019 წლის ბიუჯეტი, წინა წლებთან შედარებით, როგორც გეგმის სახით, ასევე შესრულების ხაზითაა გაზრდილი. შემოსავლები 12,630,500 ლარიდან შესრულდა 102%-ით და შემოვიდა 12,876,400 ლარი. გადასახდელების გეგმა 14,351,819 ლარიდან ათვისებული იქნა 13,723,880 ლარი, სულ - 96%.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის პრიორიტეტებად განისაზღვრა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და თავდაცვა.

❖ **სახელმწიფო შესყიდვების კუთხით**

მერიის მთელი რიგი აქტივობები მიმართული იყო ადგილობრივი ბიზნესის, მათ შორის, მცირე ბიზნესის უწყვეტ განვითარებაზე. მერიის ძალისხმევა მიმართული იყო იმდაგვარად, რომ კონკურენციის თვალსაზრისით მცირე მეწარმეებს ტენდერებში მონაწილეობა არ შეზღუდოდათ, რათა დაგროვილი გამოცდილებით მომავალში შეძლონ უფრო მოზრდილ და მაღალთანხიან შესყიდვებში მონაწილეობა. ჩვენი ძირითადი მიზანია, როგორც არსებულ ბაზარზე კონკურენციის დონის ამაღლება, ასევე შესყიდვის პროცედურების გამჭვირვალობა, რისთვისაც მერიამ მკაცრად გააკონტროლა მომწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შესრულების ხარისხი.

რაც შეეხება გამარტივებულ შესყიდვებს (სადაც 2019 წელს მეტწილად სოფლის პროექტები იყო), მერიამ, ასევე უზრუნველყო მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა, როგორც პრიორიტეტების შერჩევისას, ასევე სამუშაოების შესრულების პროცესში. აღნიშნულით კი ხელი შეეწყო ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

❖ **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისთვის**

2019 წელი, განვითარების მიმართულებით შედეგობრივად უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მასშტაბური პროექტი. თითოეული მათგანი გათვლილი იყო მოსახლეობის საჭიროებებზე და კეთილდღეობაზე და სრულიად პასუხობს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

2019 წელს დასრულდა:

- სოფელ ირში მდინარე ჯეჯორზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 168,980 ლარი;
- სოფელ ჯინჭვისში 2018 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, ღირებულებით - 226,215ლარი;
- სოფელ ჭალაში 2018 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, ღირებულებით - 93,977 ლარი;
- სოფელ ღარში 2018 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, ღირებულებით - 1,177,713 ლარი;
- სოფელ ქვედში დიდ მოსახვევთან საყრდენი კედლისა და მაისურაძეების უბანში ჩამომავალ ღელეზე რკ/ბეტონის არხის მოწყობა, ღირებულებით - 58,359 ლარი;
- სოფელ ქვედში მდინარე ქვედრულაზე, ფერმასთან, საჭაპანე ხიდის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 51,140 ლარი;
- სოფელ საკაოში სახაზოსაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 270,800 ლარი;
- სოფელ წოლაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 25,245 ლარი;
- სოფელ ღარში ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზების სარეაბილიტაციო (ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა) სამუშაოები, ღირებულებით - 1,200,000 ლარი;
- სოფელ ფარახეთში მეწყრისგან დაზიანებული გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 129,865 ლარი;
- ქ.ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (I ეტაპი), ღირებულებით - 1,368,000 ლარი;

- სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 1,564,138 ლარი;
- სოფელ ლაჩთა- შეუბნის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 790,009 ლარი;
- არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემისა და ქ. ონში ვახტანგ VI (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 408,846 ლარი;
- სოფელ ხირხონისში ახალი ამბულატორიის მშენებლობა, ღირებულებით - 44,934 ლარი;
- სოფელ ლაგვანთაში ახალი ამბულატორიის მშენებლობა, ღირებულება - 41,492 ლარი;
- სოფელ ღარში ახალი ამბულატორიის მშენებლობა, ღირებულებით - 41,228 ლარი;
- სოფელ ნიგვზნარაში ახალი ამბულატორიის მშენებლობა, ღირებულებით - 41,841 ლარი;
- სოფელ უწერაში არსებული ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 28 993 ლარი;

საგარანტიო თანხებიდან:

- ბარი-მრავალძლის, კვაშხიეთის და ქ.ონში მისასვლელ გზასა და საერთო საცხოვრებლის დაზიანებული მონაკვეთებისა და სათვალთვალო ჭების შეკეთება ასფალტო ბეტონით, ღირებულებით - 32,993 ლარი.

შენობა-ნაგებობები:

- სოფელ ღებში საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 254,552 ლარი. დასრულების სამუშაოები გაგრძელდა 2020 წელს, ღირებულებით - 76,550 ლარი.
- სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა, ღირებულებით - 323,370 ლარი.

ადგ. ბიუჯეტის ფარგლებში:

- სოფელ ჭიორაში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 44,322 ლარი;~
- სოფელ ღებში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 33,678 ლარი;
- სოფელ სევაში ნადირაშვილების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 16,426 ლარი;
- სოფელ ონჭევში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 17,224 ლარი;
- სოფელ ბარში, ჩლაიძეების უბანში დაზიანებული საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 6,925 ლარი;
- სოფელ სორში გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - 1,982 ლარი;
- სოფელ კომანდელსა და ქრისტესში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 17,991 ლარი;
- სოფელ ლაჩთასა და ნიგვზნარაში არსებული მინი სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 4,067 ლარი;
- სოფელ უწერაში მდინარე მუშუანზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 6,817 ლარი;
- სოფელ პატარა ღებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 24,660 ლარი;
- ქ. ონში მოედნის ქუჩაზე მდებარე სკვერში სპორტული ტრენაჟორების, კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის და საჩრდილობელი ფანჩატურის მოწყობა, ღირებულებით - 14,890 ლარი;
- სოფ. კვაშხიეთში (კუნეთის უბანი) შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 12,614 ლარი;
- სოფ. შქმერში წმ. ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 19,918 ლარი;
- სოფ.უწერაში არსებული წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 22,643 ლარი;
- სოფ. გლოლაში არსებული წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 26,155 ლარი;
- სოფ. ღებში 5 ივნისს მომხდარი სტიქიის დაზიანებული გზის დამცავი გაბიონის მოწყობა, ღირებულებით - 10,808 ლარი;

- სოფელ ლაჩთა-შეუბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით -14,583 ლარი.
- სოფელ ღებში თევრეშოსკენ მიმართულებით ადგილი "კოდუნეები" მეწყერული მოვლენების გააქტიურების შედეგად ჩაკეტილი გზების წმენდის სამუშაოები, ღირებულებით - 6,174 ლარი;
- ქ. ონში საბავშვო ბაგა-ბაღის დაზიანებული წყალარინების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 4,350 ლარი;
- ქ. ონში სამუსიკო სკოლის გარე სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 3,925 ლარი;
- ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის სკვერში მდებარე სპორტული კომპლექსის შენობაში წყლის სისტემის შიდა ქსელზე მიერთების სამუშაოები, ღირებულებით - 1,887 ლარი;
- ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის სკვერში მდებარე სპორტული კომპლექსის შენობის გარე ელ. სამუშაოები, ღირებულებით - 6,410 ლარი;
- სოფ ღუნდაში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 4,950 ლარი;
- სოფელ ჭალაში არსებული მინერალური წყლის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 18,172 ლარი;
- სოფელ ზუდალში სტადიონთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 4,953 ლარი;
- სოფელ სორგითში წმინდა გიორგი სახელობის ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 22,118 ლარი;
- სოფელ ქვედის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 16,340 ლარი;
- სოფელ უწერაში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 6,449 ლარი;
- სოფელ ქვედში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობისა და 12 საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით -4,660 ლარი;
- სოფელ შქმერში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული სახლის სახურავის და ჭერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 3,785 ლარი;
- სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 52,000 ლარი;
- სოფელ პიპილეთში მინერალური წყლის, ფანჩატურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 69,216 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მისასვლელი და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები- 18 სოფელი ;
- თავშეყრის ადგილის მოწყობა განხორციელდა - 18 სოფელი
- წყლის სიტემის რეაბილიტაცია - 19 სოფელი;
- გარე განათების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია 19 სოფელი;
- მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 3 სოფელი;
- სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები - 1 სოფელი;
- სველი წერტილების მოწყობა - 1 სოფელი;

შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 664,000 ლარი

საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა:

განხორციელდა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 2020 წელს და შემდგომ წლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

- გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში მდებარე კულტურის სახლისა და აღმაშენებლის ქუჩა N64 მდებარე საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, ღირებულებით 140,000 ლარი;
- ქ. ონსა და ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ჭიორა, გლოლა, უწერა, ღარი, შეუბანი, სორი) მდებარე საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 1,603,293 ლარი;

- სოფლებში: გლოლა, უწერა, პიპილეთი, სორსა და ქვემო ბარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 1,169,547 ლარი.

- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, ღირებულებით - 848,790 ლარი.
- 2019 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, ღირებულებით - 4,732,911 ლარი , რომელიც მოიცავს სოფლების: ღების, გლოლის, უწერის, ჯინჭვისის ლაგვანთის გადამშსა და ჭვებარის, ხირხონისის დაზიანებული უბნების აღდგენა რეაბილიტაციას, მდინარეების კალაპოტის წმენდა-ფორმირების, ნაპირსამაგრების მოწყობის, სახიდე გადასასვლელების, სანიაღვრე სისტემების, შიდა საუბნო გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს.

ონის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით 2020 და მომდევნო წლებში განსახორციელებელი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმა

- **საგზაო ინფრასტრუქტურა:**
  - სოფელ ბარი-მრავალძლის გზის რეაბილიტაცია (VI ეტაპი), ღირებულებით - 2,800,000 ლარი; (დასრულება) დაახ. 4,500 გრძ. მეტრი.
  - სოფელ შარდომეთისა და ახალი ჩორდის გზის (4კმ) ასფალტირება, ღირებულებით - 2,500,000 ლარი;
  - სოფელ ზუდალი-სევის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (6კმ) - 2,500,000 ლარი;
- **კეთილმოწყობა:**
  - ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების რეაბილიტაცია (IIეტაპი)- პროექტის ღირებულებაა - 2,000,000 მლ ლარი.
  - ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული მინ. წყლებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - სოფელ ჭალის მინ. წყლის მიმდებარე ტერიტორია, ღირებულებით -90,000 ლარი.
  - ქ. ონში ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (2,500მ^2) - ღირებულებით - 450,000 ლარი.
  - ქ. ონში კულტურის სახლისა ცენტრალური გათბობის სისტემისა და იატაკის რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა (600მ^2) - ღირებულებით - 120,000 ლარი.
  - ქ. ონში მინი სპორტული მოედნის მოწყობა - ღირებულებით - 80,000 ლარი.
  - ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ღირებულებით - 180,000 ლარი.
  - ქ. ონში მუზეუმის მშენებლობა. გაფორმებულია ხელშეკრულება. ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია სამშენებლო ნებართვა. 2020 წელს დაიწყება სამშენებლო სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 6,000,000 ლარს.
  - სოფელ საგლოლო-ჭიორა-ღების გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით -3,800,000 ლარი.

- **გაზიფიცირება:**

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 8 სოფლის (კვაშხიეთი, შარდომეთი, ფარახეთი, ზუდალი, სევა, ახალი ჩორდი, შრომის უბანი, წმენდაური) გაზიფიკაცია.

წყალსადენი სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია:

მუნიციპალიტეტის სოფლებში: გლოლა, უწერა, პიპილეთი, ქვემო ბარსა და სორში სასმელი წყლის სისტემის განვითარების მიზნით სათავე ნაგებობების, წყალშემკრები და სამარაგო რეზერვუარების, ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ღირებულებით - 1 169 547 ლარი.

- **შენობა-ნაგებობები:**

<u>სკოლები:</u>

  - სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 225 000 ლარი;
  - სოფელ ჭიორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 102 600 ლარი;
- **სტიქიის პრევენცია და სალიკვიდაციო ღონისძიებები:**
  - სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება (სოფლებში: ღები, გლოლა, ჯინჭვისი, ლაგვანთა, ხირხონისი, სორი) 1 800 000 ლარი;

2019 წელს სამსახურის მიერ გაცემულია 26 სამშენებლო ნებართვა და 30 თანხმობა განსახორციელებელი მშენებლობის შესახებ. ექსპლუატაციაში მიღებულია 11 დასრულებული ობიექტი.

2019 წელს შესრულებული სამუშაოების ტემპები და მასშტაბურობა მოსახლეობის გაზრდილ, აბსოლუტურად ლეგიტიმურ და ობიექტურ მოთხოვნებს ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს. შექმნილი

მდგომარეობის ანალიზი იძლევა კვლავ არაერთი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობას, რომელიც ორიენტირებული იქნება მომავალზე და მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

- **ზედამხედველობის სამსახური**

ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2019 წელს გაცილებით მოიმატა პროექტების რაოდენობამ, რაც გამოიწვია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განახლებამ. ზედამხედველობა გაეწია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ 39 პროექტს, განსაკუთრებულად აღსანიშნავია სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 61 სოფელში განხორციელდა 80 ინფრასტრუქტურული პროექტი: გარე განათება მოეწყო 19 სოფელში, წყალსადენის რეაბილიტაცია მოხდა 19 სოფელში, გზები შეკეთდა და მოეწყო სანიაღვრე არხები 18 სოფელში, მოეწყო თავშეყრის ადგილი და დასრულდა სარიტუალო სახლები 20 სოფელში, მინი სტადიონი მოეწყო 3 სოფელში, შემოიღობა სასაფლაო ერთ სოფელში.

ყურადღება მიექცა პროექტების შესრულების ხარისხს და ვადებს. მუდმივად ხდებოდა მეწარმეების სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება. რამდენიმე მეწარმე დაჯარიმდა შესაბამისი თანხით პროექტის ვადა გადაცილებით დასრულების გამო, ხოლო ორ მეწარმეს ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სამსახურმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად (კეთილმოწყობის წესების დარღვევა) შეადგინა 2 სამართალდარღვევის ოქმი და გადაუგზავნა განსჯად სასამართლოს, რომელმაც მოქალაქეებს დააკისრა 200-200 ლარი ჯარიმის გადახდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად (ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა) 50 ლარით დააჯარიმა 15 მოქალაქე.

გარე ვაჭრობის წესების დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153[3] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა 2 სამართალდარღვევის ოქმი და გაიგზავნა განსჯად სასამართლოში,

ჯარიმების დადგენილ დროში გადაუხდელობის გამო აღსრულების ეროვნულ ბიუროში გაიგზავნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 8 ოქმი (საჯარიმო ქვითარი).

სამსახურის მიერ მოქალაქეების წერილობითი გაფრთხილების შედეგად მოწესრიგდა:

- ქ. ონში ლებანიძის სანაპიროზე (მდ. ჯეჯორას ხიდთან) არსებული ტერიტორია.
- ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, მოხდა დანგრეული შენობების დემონტაჟი, დასუფთავდა ტერიტორია.
- გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში მიწის ნაკვეთზე არსებული ამორტიზებული ბეტონის კონსტრუქციის დემონტაჟი.
- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვისცენტრის მიერ ქ. ონის ქუჩებში რამდენიმე ადგილზე დაზიანებული ასფალტბეტონის საფარი.
- ქ. ონში რამდენიმე ადგილზე მოხდა ტროტუარებზე განთავსებული სამშენებლო მასალების გატანა
- ქ. ონში 4 ადგილზე გასუფთავდა ძველი საბურავებით დაბინძურებული ტროტუარები.
- წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე შეჩერდა ორი უნებართვო მშენებლობა (კურორტ შოვში სასადილოს მშენებლობა და ქ. ონში დემეტრე II-ს მოედანზე ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია).

- **<u>საერთაშორისო პროექტები:</u>**

ეკონომიკის სამსახური ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, ამ მიზნით ონის მუნიპალიტეტის მერიამ მუშაობა დაიწყო მუნიციპალიტეტის **საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტისა** და სამოქმედო გეგმის განახლებაზე. აღნიშნული მიზნით მერიაში შეიქმნა

სამუშაო ჯგუფი, ჯგუფის მიზანია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა, ასევე, განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების დანერგვას და ეკონომიკის განვითარებას. [1]

ასევე ონის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას **„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“** (M4EG), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2016 წელს და ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში (საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი). პროექტის მიზანია გრძელვადიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შექმნა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება მიმართული. აღნიშნულ ინიციატივაში გაწევრიანება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ონის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდისა და დონორებისგან დამატებითი მხარდაჭერის მოპოვებისთვის.

- <u>**საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია**</u>

ონის მუნიციპალიტეტში **საავტომობილო გზების დეპარტამენტი** ახორციელებს, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით საინვესტიციო პორტფელის მოცულობამ 2019 წელს 42,132,964 ლარი შეადგინა:

შქმერი-ზუდალის კმ40.9-კმ48.6 მონაკვეთის რეაბილიტაცია - 20,888,888 ლარი.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **გუფთა-ონის** საავტომობილო გზის კმ54-კმ63 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 6,488,888 ლარი.

ადგილობრივი მნიშვნელობის **პიპილეთი-ცხმორი-ფსორი-ბაჯიხევის** საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 7,529,923 ლარი.

უწერა-შოვის ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაცია -6,000,000 ლარი.

სოფ. უწერაში (ჟამიერეთის უბანი) და სოფ. სორში მდ. რიონზე კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები - 835,500 ლარი.

შოვში მდ. ჭანჭახის (ტურბაზა შოვთან) ნაპირსამაგრი სამუშაოები - 389,765 ლარი.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია **მუზეუმისათვის ახალი შენობის მშენებლობა**, რომელიც **მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება** და მისი ბიუჯეტი 5,522,185 ლარს შეადგენს.

- <u>**კერძო ინვესტიციები.**</u>

სოფ. უწერაში 14 - ნომრიანი **საოჯახო სასტუმროს** მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 4,000,000 მლნ. ლარს.

სოფ. ღარში და სოფ. სორში **მეღორეობის** სადედე-საჯიშე სასელექციო **ფერმის** მშენებლობის, ღირებულება ჯამში **8,500,000 ლარია** (სორი 5,500,000 ლარი და ღარი 3,000,000 ლარი).

- **პრივატიზება.**

2019 წელს ელექტრონული აუქციონით პრივატიზირებული იქნა 5 მოძრავი ქონება (მანქანები), თანხით 11,490 ლარი და მეორადი ლითონი - თანხით 11,390 ლარი.

---

[1] აღნიშნული აქტივობა ხორციელდება „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარების“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (AYEG) ახორციელებს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან (LDA) ერთად. თავის მხრივ, პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორი პროექტის ფარგლებში ხორციელდება დანიის საგარეოს საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (ADC) მხარდაჭერით.[1]

- **უძრავი ქონების რეგისტრაცია.**

ეკონომიკის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ონის მუნიციპალიტეტს გადმოეცა და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში:

1. ქ. ონში გერცელ ბაზოვის ქუჩაზე მდებარე 1345 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 444,8 კვ.მ
2. ქ. ონში გივი დგვარელის ქ. N8ᵃ-ში მდებარე 1259 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 348,49 კვ.მ
3. ქ. ონში ვახტანგ VI-ის ქ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობები N2; 3; 4; 5; 6 და მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4. ბარათაშვილის და მოედნის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 468 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
5. სოფ. პიპილეთში მდებარე 1383 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით. (ადმინისტრაციული სახლი)
6. სოფ. ონჭევში მდებარე 739 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (ჩანჩქერის ტერიტორია)
7. სოფ. ლაჩთაში მდებარე 2663 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით. (სარიტუალო სახლი და სპორტული მოედანი)

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა ადგილები სპორტული მოედნებისა და თავშეყრის ადგილებისათვის, რომელიც წარმოადგენდა დაურეგისტრირებელი ან/ და დარეგისტრირებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას. სამსახურის მიერ წარმოებული საქმის შედეგად გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში შემდეგი სახის ქონება:

1. სოფ. ქრისტესში მდებარე 435 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით (თავშეყრის ადგილი).
2. სოფ. ხიდეშლებში მდებარე 301 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
3. სოფ. საკაოში მდებარე 208 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
4. სოფ. კომანდელში მდებარე 116 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
5. სოფ. წედისში მდებარე 596 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
6. სოფ. ბოყვაში მდებარე 950 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონი).
7. სოფ. ქვედრულაში მდებარე 1000კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონი).
8. სოფ. ნიგვზნარაში მდებარე 1003 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონი).
9. სოფ. ღარში მდებარე 585 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონი).
10. სოფ. ჭალაში მდებარე 791 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
11. სოფ. ხურუთში მდებარე 27 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
12. სოფ. კვაშხიეთში მდებარე 135 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (თავშეყრის ადგილი).
13. სოფ. ნიგვზნარაში მდებარე 290 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (თავშეყრის ადგილი).
14. სოფ. კომანდელში მდებარე 24 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თავშეყრის ადგილი).
15. სოფელ სორში გადმოცემულია და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 3452.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ახალი სკოლა)

- <u>ამბულატორიები</u>

გადაუდებელი სასწრაფო და სამედიცინო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით სოფლებში: ხირხონისში, ნიგვზნარასა და ღარში ამბულატორიების მშენებლობისათვის გადმოგვეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

- <u>თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების აღიარება</u>

მერიაში შექმნილია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების **აღიარების მუდმივმოქმედი კომისია.** კომისიამ მიმდინარე წელს 234 განაცხადზე მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, 166 განაცხადზე სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, ხოლო 203 განაცხადზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

- <u>არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა</u>

4 მოქალაქეს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი საქართველოს მთავრობის **2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების** თანახმად.

- <u>ლიცენზია</u>

მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად ჩათვალა სოფ. ჭიორის, სოფ. ნაკიეთის და სოფ. კომანდელის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) **ლიცენზიის გაცემის** საკითხს.

- <u>გარემოს დაცვა</u>

აქტიური სამუშაო პროცესი დაიწყო და მიმდინარეობს **ნარჩენების მართვის** გეგმის შემუშავებასა და გარემოსდაცვითი აქტივობების დასაგეგმად.

- <u>იურიდიული მომსახურება</u>

მოქალაქეებისათვის იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციების მიღების პროცესის გამარტივების მიზნით მერიამ ხელი შეუწყო ონში სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ფუნქციონირებას.

- <u>ტურიზმი.</u>

2019 წლის 21 აგვისტოს შეიქმნა ახალი facebook გვერდი ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი/Oni Tourist Information Center სადაც შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მოძიება ონის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული შესაძლებლობების შესახებ, ეს არის ინფორმაცია ტურისტული დანიშნულების ობიექტების, საოჯახო სასტუმროების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ბუნების ძეგლების, კურორტების, ტრანსპორტის გრაფიკის, ღონისძიებების, ფესტივალების და სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ. 24 ვიდეო რგოლი (სოფლები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კურორტები, მინერალური წყლები, ტაძრები, ბუნების ძეგლები და სხვა) რომელიც განთავსებულია facebook გვერდზე.

მდ. ჯეჯორის ხეობის სოფლებში განთავსდა მიმართულებების მაჩვენებლები.

დაიწყო და ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი - სოფ. საკაოში სახაზოს მთისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია. სოფ. ჭალაში მინერალური წყლის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა და შეიქმნა ტურისტულად მიმზიდველი სარეკრიაციო ზონა.

❖ **განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური:**

● **განათლება** - სკოლამდელი განათლება: მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღი, სოფელ გლოლის სკოლამდელი განათლების ცენტრი და სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში განთავსებული სასკოლო მზაობის ჯგუფი მხოლოდ ერთი ბავშვისთვის. სულ მუნიციპალიტეტში 2019 წლის 1 იანვრისთვის დარეგისტრირებული იყო 0 დან 6 წლამდე 290 ბავშვი. 2017 წელთან შედარებით 59 ბავშვით მეტი, რაც კარგია. სკოლამდელ

განათლებაში ჩართულია 144 ბავშვი. ერთი ბავშვის წლიური დაფინანსება 2019 წელს შეადგენს 1565.28 ლარს. (225400 : 144 ბავშვი).

სოფელ პიპილეთში, გაიხსნა სასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელშიც სასკოლო მზაობის პროგრამას გადიოდა ერთი ბავშვი. ასეთივე სკოლამდელი განათლების ცენტრის გახსნა იყო დაგეგმილი სოფელ ღებში, შერჩეული იქნა კადრიც, თუმცა ვერ მოხერხდა, რადგანაც არ დასრულდა საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. იყო მცდელობა, მოგვეძებნა და დაგვექირავებინა ფართობი, თუმცა საამისო მსურველი სოფელში ვერ გამოინახა.

წლის მანძილზე ორგანიზაციული საკითხები დამუშავდა მოქმედი ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და ყოფილი მეორე ბაგა- ბაღის ეზოში ტიპიური ბაღის ასაშენებლად, რათა საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა დაწესებულებებმა შეუფერხებლად გაიარონ ავტორიზაცია.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 საჯარო სკოლა. აქედან 6 სკოლა საშუალო, ხოლო 3 სკოლა საბაზოა. მოსწავლეთა რაოდენობა 2019-2020 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეადგენდა 536 მოსწავლეს.(2018-2019 სასწავლო წელს 541 მოსწავლეს შეადგენდა). სექტემბერში, პირველ კლასში არცერთი ბავშვი არ შევიდა უწერის, პიპილეთის, ჭიორისა და სორის საჯარო სკოლებში. 6 საშუალო სკოლიდან დღეის მდგომარეობით, მხოლოდ სამ სკოლაშია ყველა კლასი. (ონი, ღები, ღარი). მიმდინარეობდა სოფელ ღების საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 254552.62 ლარს, სამწუხაროდ დასრულება ვერ მოხერხდა. გათვალისწინებულ იქნა ჭიორის, გლოლის, უწერის, ღარის, შეუბნის, სორის, ღებისა და პიპილეთის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც საპროექტო სამუშაოებისათვის გამოიყო სახელშეკრულებო თანხა 37 833 ლარი, გამოცხადდა ჭიორისა და პიპილეთის საჯარო სკოლების სამუშაოებზე ტენდერები, ეტაპობრივად გამოცხადდება ტენდერი დანარჩენ სკოლებზეც. მკაცრ კონტროლზე იქნა აყვანილი მოსწავლეთა სკოლებში ტრანსპორტირების საკითხი.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებები: მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი, სადაც არაფორმალურ განათლებაში ჩართული იყო 252 ბავშვი. 2019 წლის დაფინანსება (სუბსიდია) არაფორმალური განათლების მიმართულებით შეადგენდა 110 300 ლარს. დადებითად უნდა იქნას შეფასებული ის აქტივობები, რომელიც განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ასევე ავსტრიის საელჩოსა და ავსტრიის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობით განხორციელდა.

2019 წელს განათლების სფეროში დაიგეგმა და 2020 წლისათვის დაფინანსდა 4 მუნიციპალური პროექტი თანხით 8245 ლ.

- **კულტურა** - მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევდა ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი“. გამოყოფილი სუბსიდია 2019 წელს შეადგენდა 107 400 ლარს. ქალაქის მოსახლეობას, ადგილობრივ კოლექტივებთან ერთად, კულტურული მომსახურება გაუწიეს ცნობილმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა: რუსთაველის თეატრმა, ანსამბლმა “რუსთავმა“, „ქართულმა ხმებმა“, საქართველოს სიმფონიეტამ და სხვა. კარგად ჩაიარა ონელობის დღესასწაულმა და ახალი წლის დღეებმა.

  2019 წელს კულტურის სფეროში დაიგეგმა და 2020 წლისათვის დაფინანსდა 5 მუნიციპალური პროექტი თანხით 59 413 ლარი.

  მოსახლეობას წიგნით მომსახურებას უწევდა ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკა და 17 სასოფლო ბიბლიოთეკა, 62,689 ცალი წიგნადი ფონდით. სოფლად 38,773 ცალი, ქალაქად 23,916 ცალი. მოსახლეობის წიგნით მომსახურეობის ხელშესაწყობად 2019 წლისათვის გამოყოფილი იყო 61,100 ლარის სუბსიდია. კაპიტალური რემონტი ესაჭიროება ა(ა)იპ ბიბლიოთეკის შენობას. განახლებას მოითხოვს ინვენტარი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაქირავებულ შენობებშია ღებისა და ჯინჭვისის ბიბლიოთეკები.

- **ახალგაზრდობა** - ახალგაზრდების ინტელექტუალური შესაძლებლობების თვითრეალიზების ხელშესაწყობად, მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილ იქნა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“. მიმდინარე სასწავლო წელს, პირველად, მუნიციპალიტეტის მერიამ მხარი

დაუჭირა სოფლად მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება ქ. ონში არაფორმალური განათლების მიღების მიზნით.

» სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის 20 მოსწავლე ქალაქ ონში კვირაში ორჯერ ესწრებოდა მეცადინეობებს სახელოვნებო და სპორტულ წრეებზე.

- **სპორტი:** მუნიციპალიტეტი ზრუნავს სპორტის განვითარებისათვის. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსს გამოეყო სუბსიდია 144,900 ლ. სპორტულ ინფრასტრუქტურას შეემატა 5 მინი სტადიონი - ხელოვნურსაფარიანი 2 სტადიონი და ბუნებრივსაფარიანი სამი სტადიონი - ქალაქ ონში და სოფლებში: ქვედრულაში, ზუდალში, ბოყვაში, ჯინვისში. სკოლაში ფუნქციონირებდა ფეხბურთის, კალათბურთის (გოგონები, ვაჟები) და ჭიდაობის 3 სტილის (თავისუფალი, ქართული, ბერძნულ-რომაული) წრეები. სპორტულ სექციებში გაერთიანებული იყო 110 ბავშვი. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის სპორტსმენებმა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებზე მოიპოვეს 59 მედალი, აქედან 28 ოქრო, 11 ვერცხლი და 20 ბრინჯაო, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე კი 5 მედალი. ონის საფეხბურთო გუნდი გამოირჩეოდა სამხარეო და ადგილობრივ ტურნირებში აქტიური მონაწილეობით.

ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის“ სუბსიდია 2019 წელს იყო 30,000 ლარი. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი ნამდვილად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეტაპობრივად განვითარდეს-საკურორტო, სამკურნალო, ეკო-კულინარიული, აგროტურიზმი და სხვ. მუნიციპალიტეტში აღრიცხულ იქნა 61 დასასვენებელი სახლი. 332 კულტურის ძეგლი, ტაძარი, ისტორიული ადგილი, 15 ტურისტული მარშრუტი, გადასახედი ონის შემოსასვლელში.

- **სოციალური** კუთხით 2019 წელს ფინანსური ფულადი დახმარება გაეწია ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ 827 ბენეფიციარს, ჯამში 188 400 ლარის ოდენობით.

დაფინანსების თანხა პროგრამის და ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. **ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლიდან 143 ბენეფიციარზე გაიცა 46 900 ლარი:**

ა) ავადმყოფთა დასახმარებლად სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე, სტაციონალურ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე, 122 მოქალაქეზე ერთჯერადი ფულადი დახმარება ჯამში - 32,564 ლარი.

ბ) ჰემოდიალიზის კომპონენტის 5 მოსარგებლეზე 4,500 ლარი (თითოეულზე თვეში 100 ლარი).

გ) უფასო მედიკამენტების უზრუნველყოფის მუხლიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება 16 ონკოლოგიურ ავადმყოფზე, ჯამში 1,672 ლარი (თითოეულზე 100 ლარის ოდენობით).

2. **არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მუხლიდან ფულადი დახმარება გაიცა 57 ბენეფიციარზე 11,700 ლარი:**

ა) არასაპენსიო ასაკის 29 შშმ პირზე 8,700 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).

ბ)1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 18 წლამდე შშმ და სსსმ პირ 14 ბავშვზე 1,400 ლარი (თითოეულზე 100 ლარი).

3. მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით 164 ოჯახზე 34 200 ლარი:

ა) 71 მრავალშვილიან (სამი და მეტი შვილი) ოჯახებზე **13,550 ლარი;**

ბ) 36 ახალშობილზე და 13 მეორე ბავშვზე **13,650 ლარი;**

გ) მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ 18 წლამდე ასაკის 39 ბავშვზე, სასწავლო წლის დაწყებისთვის, ერთჯერადი ფულადი დახმარება **3,900** ლარი. (თითოეულ ბავშვზე 100 ლარი);

დ) საახალწლო-საშობაოდ მარჩენალდაკარგულ 15 ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე 100 ლარი) **1,500 ლარი;**

ე) უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების, საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველსაყოფად, ბინის ქირის საფასური 3 ოჯახზე, თითოეულ ოჯახზე თვეში 100 (ასი) ლარი, ჯამში - **1,600 ლარი.**

4. **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების მუხლიდან 31 პირზე გაიცა ჯამში 3,100 ლარი:**

ა) საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით; 1 ვეტერან ქალზე **100** ლარი;

ბ) ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით - **2** ვეტერანზე ფულადი შემწეობა (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი) **400** ლარი;

გ) საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახებზე, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით, **8** ვეტერანის ოჯახზე, ერთჯერადი ფულადი შემწეობა (თითოეულ ოჯახზე 100 ლარი) **800** ლარი:

დ) სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანებზე 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით - **9** ვეტერანზე ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულზე 100 ლარი) **900** ლარი.

ე) საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა **11** ოჯახზე საშობაო საჩუქარი (თითოეულ ოჯახზე 100 ლარი) **1,100** ლარი;

5. **ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მუხლიდან** ხანძრის შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანისათვის 3 დაზარალებულ ოჯახზე 9,000 ლარი (თითოეულზე 3,000 ლარი);

6. **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახების დახმარების მუხლიდან 192 ბენეფიციარზე გაიცა 2,000 ლარი:**

ა) ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებზე, დასუფთავების მოსაკრებლი დაიფარა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, წყლის გადასახადზე დახმარება გაიცა 61 ოჯახზე (193-190 ბენეფიციარი), ჯამში - 2,000 ლარი.

ბ) მეორე მსოფლიო ომის **2** ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულზე 400 ლარი) **800** ლარი;

7. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N2531 განკარგულებით, ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (წედისი, ირი, სხანარი, ქვედი, გლოლა, გომი, ღარი) მცხოვრებ 400 ოჯახზე, გამოსაზამთრებლად გამოიყო და ჩაირიცხა 80,000 ლარი (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი).

8. 2019 წელს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის თაობაზე შემოსულია 641 განცხადება,

მათ შორის:

1. სტატუსის მინიჭებაზე მიღებულია - 168 განცხადება:

სტატუსი მიენიჭა 150 მოქალაქეს, უარი ეთქვა 14 მოქალაქეს, განხილვის გარეშე შეწყდა 4 განცხადება.

2. საჯარო რეესტრიდან მიღებულია - 168 შეტყობინება სტატუსის შეწყვეტის შესახებ:

გარდაცვალების გამო სტატუსი შეუწყდა 159 პირს, რეგისტრაციის ცვლილების გამო სტატუსი შეუწყდა 7 მოქალაქეს.

3. მონიტორინგის სპეციალისტების მიერ გადამოწმებული იქნა 66 მთის სტატუსის მქონე პირი. მონიტორინგის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 2 მოქალაქეს.

4. მთის სტატუსის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია 301 განცხადება: სტატუსის შესახებ გაიცა 293 ცნობა, განხილვის გარეშე შეწყდა 8 განცხადება.

- **ჯანმრთელობის დაცვა** - ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ინიციატივით 2019 წლის 15–16 ივნისს ქ. ქუთაისის „ენდოკრინოლოგიური ცენტრის“ მიერ ჩატარდა სამედიცინო გასინჯვა–გამოკვლევები, ხოლო 2019 წლის 14 სექტემბერს ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმთა ბრიგადის მიერ მოსახლეობის უფასო გასინჯვა–გამოკვლევების აქცია.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მედიკამენტების გაცემა 2–10 წლამდე ასაკის ბავშვებზე და მათი ოჯახის 15 წლამდე წევრებზე, პედიატრის დანიშნულებით, უფასოდ. გაზაფხულზე დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს „C” ჰეპატიტზე სისხლის კონფირმაციული კვლევა.

მეორე წელია მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება საშვილოსნოს ყელის, ძუძუს და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქ. ქუთაისის ონკოლოგიურ კლინიკას თავისი ტრანსპორტით გადაჰყავს ცენტრის მიერ შერჩეული კონტიგენტი. 50 პაციენტმა უკვე ჩაიტარა გამოკვლევა. მიმდინარეობს „თამბაქოს კონტროლის პროგრამა“.

წარმატებით განხორციელდა „ონის მუნიციპალიტეტში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მუნიციპალური პროგრამა“. სამიზნე 2285 მოქალაქის ნაცვლად დასკრინულია 2400 მოქალაქე.

- **შპს „კომუნალური სამსახურის“**

მიერ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა შემდეგი სამუშაოების შესრულება: ქალაქისა და მისი შემოგარენის დასუფთავება, ქალაქის გამწვანების ობიექტების, გარე განათების და ნარჩენების მართვა. გასული წლის მდგომარეობით, კონტეინერული სისტემით მოცული იყო ქალაქი ონი და სოფლების გარკვეული ნაწილი (სულ განთავსებულია 230 ურნა). მუნიციპალიტეტს ემსახურებოდა ორი ნაგავმზიდი მანქანა. სრულყოფილად მომსახურებისათვის საჭიროა ისეთი ნაგავმზიდი მანქანის დამატება, რომელიც შეძლებს იმ სოფლების მომსახურებას, სადაც არსებული ნაგავმზიდი მანქანის მოძრაობა შეუძლებელია. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მოთხოვნა წარდგენილია შესაბამის სტრუქტურაში.

ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე მოეწყო გამწვანების ზოლები, ასევე, კეთილმოეწყო ცენტრალურ მოედანზე და წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკვერები.დაიდგმება საბავშვო ატრაქციონებიც. გარდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული პროექტებისა, გარე განათების ახალი წერტილები მოეწყო გარკვეულ სოფლებში (ონჭევი, ჟაშქვა, პიპილეთი, ქვედრულა, კომანდელი, ლაჩთა, მაჟიეთი, ღები, მრავალძალი, შქმერი და ქალაქი ონი). კომუნალური სამსახურის ბიუჯეტმა 2019 წელს შეადგინა 406 700 ლარი.

- **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს**

2019 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გეგმით უნდა გაეწვია 10 წვევამდელი. ფაქტიურად სამხედრო საექსპერტო კომისიაზე გადაყვანილია 24 წვევამდელი, აქედან, სამხედრო სამსახურის გასავლელად ჩარიცხულია 12. 2018 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია, როგორც გეგმით ასევე, ფაქტიურად.

2019 წელს პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 26 ჭაბუკი, 2018 წელთან შედარებით 7-ით ნაკლები.

სამხედრო სამსახურისთვის პრობლემას წარმოადგენს ჩვენს მუნიციპალიტეტში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან დარეგისტრირებულ წვევამდელთა ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის დადგენა და მათი გამოცხადება. ამ პრობლემის გადასაჭრელად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ადგილობრივ თვითმმართველ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად.

- **შიდა აუდიტის სამსახური**

მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წლის განმავლობაში ჩაატარა გეგმის მიხედვით გაწერილი ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის“ შემოწმება და მერიის შიდა სამსახურების კომპლექსური შემოწმება ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მიხედვით.

ასევე, არაგეგმიურად მოხდა ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ და შპს „მოედანი 2009“-ის აუდიტორული შემოწმება, ხოლო შპს „ ონის კომუნალურ სამსახურში“ განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი და გამოვლენილ შეუსაბამობებზე მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინეს რეაგირება.

2019 წლის მიმდინარეობისას შიდა აუდიტის სამსახურმა მოახდინა მერიის შიდა სამსახურების შემოწმება, აღნიშნულ სამსახურებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები, შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვის, ფულადი სახსრები და მატერიალური ფასეულობების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ქონების განკარგვის, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის შესახებ.

ასევე მიმდინარე წელს შიდა აუდიტის სამსახურმა მოახდინა შპს “მოედანი 2009“-ის გეგმიური შემოწმება ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით. აღნიშნულ შპს-ს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები მატერიალური და ტექნიკური საშუალებების მოვლა-პატრონობისა და შენახვის წესების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების კანონის შესაბამისად შესრულებაზე.

2019 წლის მიმდინარეობისას შიდა აუდიტის სამსახურმა მოახდინა შპს“ ონის კომუნალური სამსახურის“ გეგმიური შემოწმება ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით. სამსახურზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით.

- **ადმინისტრაციული სამსახური**

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წლის განმავლობაში ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში (პირველადი სტრუქტურული ერთეული) ჩამოყალიბდა მეორადი სტრუქტურული ერთეული - შესყიდვების განყოფილება - 4 შტატით;
2. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას გაუქმდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქცია და ჩამოყალიბდა, როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილება (მეორადი სტრუქტურული ერთეული);
3. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების (19 შტატი) თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა 800 ლარით, მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის 8 პოზიციაზე თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 100-100 ლარით.

პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა კონკურსის საფუძველზე. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge). 2019 წლის განმავლობაში 23 ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადდა კონკურსი.

განხორციელდა ონის მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების და სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარე სამუშაო პროცესების შესწავლა-ანალიზი, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა-შეფასება. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით მოხდა ფუნქცია-მოვალეობების ახლებური გააზრება, მომზადდა და ბრძანებით დამტკიცდა პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობები (თანამდებობრივი ინსტრუქციები), სადაც დეტალურადაა გაწერილი სამუშაო პროცესები.

„ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის“ საფუძველზე 2019 წლის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა შეფასება. თანამშრომელთა შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად სამსახურების მიხედვით დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

ადამიანური რესურსების განყოფილებამ წლის განმავლობაში მოამზადა 408 მერის ბრძანება.

მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის www.oni.gov.ge და facebook გვერდის საშუალებით საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდებოდა მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მერიაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია, ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ინფორმაციის მოძიება, აღბეჭვდა, მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივი რეაგირება.

ონის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებზე დასწრება და ინფორმაციის გამჭვირვალობის მიზნით გაშუქება. მერია თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტო newspress - თან და საინფორმაციო პორტალი, მედია ჰოლდინგთან კვირა kvira.ge - სთან. გვერდის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიება ფოტო და ვიდეო მასალის სახით.

2019 წელს მუნიციპალიტეტის მერიაში, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა სამსახურებიდან შემოსულია - 8,580 კორესპოდენცია. წერილების დიდი რაოდენობა კი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან არის შემოსული -4,985. ასევე, შემოსულია მოქალაქეების განცხადებები ძირითადად სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით, ისევ აქტუალურია მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენის მოთხოვნა. სულ გამოცემულია-6,113 სამართლებრივი აქტი. კერძოდ: გასული ადმინისტრაციული ბრძანება -3,047, რომელიც მთლიანად მიწის რეგისტრაციას ეხება და შიდა ადმინისტრაციული ბრძანება - 3,066. გამოცემულია 408 -კადრების ბრძანება. მუნიციპალიტეტის მერიიდან გასულია - 4,819 კორესპოდენცია, როგორც მოქალაქეებზე, ისე სხვადასხვა ინსტანციებში. დამუშავდა 2011-2013 წლების: გამგეობის, საკრებულოს, საფინანსო, ინფრასტრუქტურის და კულტურის სამსახურის საარქივო დოკუმენტაცია. მუდმივად შესანახი დოკუმენტაცია გადაიგზავნა ქუთაისის ცენტრალურ არქივში ხოლო ხანგრძლივად შესანახი დარჩა მუნიციპალიტეტის მერიის არქივში.

რაც შეეხება MMS-სისტემას სულ შემოსულია 505 განცხადება სოციალურ დახმარებებზე, აქედან დასრულებულია დადებითა 488. ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებით შემოსულია- 97 განცხადება, დასრულებულია 59.

იურიდიული განყოფილება მერის წარმომადგენელი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე წელს 4 საქმეზე იყო, რომელთა გადაწყვეტილებები მერიის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, ასევე, გასული წლის სასამართლოში შეტანილ 3 სარჩელზე 2020 წელსაც მიმდინარეობს პროცესი. განყოფილება აქტიურად იყო ჩართული და ხშირად ინიციატორიც საკრებულოზე მისაღები ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში. მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის გაცემა და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი დოკუმენტაციის ვიზირება განყოფილების ყოველდღიური მუშაობის შემადგენელი ნაწილი იყო. განყოფილების თანამშრომლები მერიაში სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით შექმნილ კომისიებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მეწარმის მიერ შესრულებული სამუშაოების შესწავლა და დასკვნების წარდგენა ასევე, სამუშაოს შემადგენელი ნაწილი იყო. განყოფილება ახდენდა იურიდიულ პირებთან დაკავშირებულ რეორგანიზაცია- ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, ხოლო გასულ წელს განყოფილებამ განახორციელა მერიის მიერ დაფუძნებული შპს ,,მოედანი 2009“ და შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის'' დაფუძნების, რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურები.

იურიდიულმა განყოფილებამ თავისი წვლილი შეიტანა და იმუშავა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა მონიტორინგზე. ასევე, მოხდა სტატუსის მქონე პირთა შეწყვეტის შესახებ განაცხადების შევსება სსიპ ,,სახელმწიფოს სერვისების სააგენტოს'' მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მერიის, თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საჯაროობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ღიაობა და გამჭვირვალობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.